ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საქართველოს ისტორიის ს/ს ინსტიტუტი

სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა
კონფერენცია

ძველი და შუა საუკუნეების საქართველო

ეძღვნება
ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად
გამოცხადების 1700 წლის იუბილეს

თ ე ზ ი ს ე ბ ი

29-30 მაისი, 2026 წელი

სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

ჯაბა სამუშია

ისტორიის დოქტორი, პროფესორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი; თსუ რექტორი

ეკატერინე ნავროზაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი

ალექსანდრე ბოშიშვილი

ისტორიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი, თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

ლერი თავაძე

ისტორიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი, თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ლუკა ნებიერიძე

საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავტორთა სტილი დაცულია.

სარჩევი

გიორგი დათუაშვილი. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVII საუკუნის II ნახევრის დასავლეთ საქართველო) 5

ლუკა ნებიერიძე. შუა საუკუნეების ქართული ფეოდალური ლაშქრისლოგისტიკა საგარეო ლაშქრობების დროს (XI-XVIII სს.) 6

ნინი ჯაფარიძე. რომის ექსპანსიის მიზეზები ძვ. წ I საუკუნის 60-იანი წლების საქართველოში 8

კესო ღონღაძე. ანტიკური ქალღვთაებები ქართლისა და კოლხეთის ტერიტორიაზე ახ.წ. I-IV საუკუნეებში (ტიხე-ფორტუნა; ქარიტები) 9

შუშანიკ მანწკავა. ქართლის გაქრისტიანების თარიღის შესახებ 10

ოთო შიშინაშვილი. უფლისციხის კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობა 11

გიორგი თედიაშვილი. ძამას ციხე 12

სალომე გიორგაძე. კალიპოსის მონასტერი შავ მთაზე – ქართული სულიერებისა და კულტურის მნიშვნელოვანი კერა 14

სალომე სამხარაძე. პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის საკითხისათვის 15

გიორგი სალთხუციშვილი. კვირიკე III დიდის მემკვიდრეთა საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი 17

ნინო ბოჭორიშვილი. დედოფალ მართა-მარიამის პორტრეტისათვის 18

თემური მეზურნიშვილი. გიორგი II-ის ტახტიდან გადადგომის საკითხის შესახებ 20

ლაშა სულაქველიძე. გადმოსახლებულ ყივჩაღთა რაოდენობის საკითხისათვის (XII სს.) 21

მარიამ ბარბაქაძე. ქართული კულტურისა და სულიერების კერები კვიპროსზე 22

მარიამ ვალიშვილი. დავით სოსლანი და ქართულ-ოსური ურთიერთობები XII საუკუნეში 23

დავით ჯიმშიტაშვილი. ქართველთა ლაშქრობა ირანში – სამხედრო ძალის დემონსტრაცია თუ პოლიტიკური კრახი? 24

მარი ბაიდარაშვილი-ფარულავა. კახეთის საერისთავო XIII საუკუნეში 25

ლაშა სამხარაძე. უფლისწულ სელიმის ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში (1509 წწ.) – ჯიჰადი თუ ღაზავათი 26

ნიკოლოზ მაისურაძე. სერ ენტონი შერლის ცნობები შაჰ აბასისა და ქართველების შესახებ 27

სესილი სამხარაძე. ჩიქვანების საგვარეულოს გაძლიერება და დინასტიური ბრძოლა ოდიშის სამთავროში 27

მარიანა ჯალაღონია. აფხაზეთის სამთავარო: სოციალური სტრუქტურა და ფეოდალური ურთიერთობები 29

ნიკოლოზ ძიმისტარიშვილი. ზოგი რამ სოფელ ჩოჩხათის ისტორიული გეოგრაფიიდან 30

ქრისტინე გოშხეთელიანი. შუა საუკუნეებისა და თანამედროვეობის სინთეზი ვასილ ბარნოვის რომანში „ისნის ცისკარი“..... 31

თამარ ყვავაძე. ისტორიული მეხსიერება და იდენტობის საკითხები გრიგოლ რობაქიძის რომანში „გველის პერანგი“ 33

ციცინო რუსია. შუა საუკუნის ისტორიული და რელიგიური ასპექტები კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ 34

ქრისტინე კუპატაძე. წმინდა გიორგის სახე ქართულ ზეპირსიტყვიერებაში 35

ბარბარე ლოლაძე. მხატვარ დამიანეს შემოქმედებითი ხელწერა უბისის წმინდა გიორგის ტაძრის მოხატულობაში 36

ნოდარ იაშვილი. ხახულის კარედი ხატი (შუა საუკუნეების ქართული კულტურის ძეგლის ისტორია შექმნიდან დღემდე) 37

გიორგი დათუაშვილი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი

ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი ***აპოლონ თაბუაშვილი***

ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ისტორიიდან

(XVII საუკუნის II ნახევრის დასავლეთ საქართველო)

საქართველოს ისტორიაში ეკლესიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, მით უფრო შუა საუკუნეებში, ის ერთგვარად განსაზღვრავდა ქვეყნის ყოფა-ცხოვრებასა და ყოველდღიურობას. ჩვენს მიზანს წარმოადგენს გავაანალიზოთ ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების საკითხი XVII საუკუნის II ნახევრის დასავლეთ საქართველოში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩვენს მიერ განსახილველი საკითხის მსგავსს, ბევრ სამეცნიერო ნაშრომს ვერ ვხვდებით, რაც ერთი მხრივ ართულებს საკითხის შესახებ არსებულ ცოდნაზე საუბარს, მეორე მხრივ კი მიუთითებს ჩვენს მიერ დასმული საკითხის აქტუალობაზე. ამ უკანასკნელზე აქცენტის გადატანისას აღსანიშნავია ისიც, რომ რელიგია ქართული ერთობისთვის წარმოადგენდა ეროვნული იდენტობის მსაზღვრელს, შესაბამისად საერო-სასულიერო ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულებისა, თუ ზოგადად ეკლესიის როლის გაანალიზება ფეოდალური სინამდვილის გარკვეულ პერიოდში, არის აქტუალური.

ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ XVII საუკუნის საქართველოში რთული პოლიტიკური, თუ ეკონომიკური ვითარება იყო. აქცენტი გადატანილია სამეფო-სამთავროების დაპირისპირებებზე, გაუქმებულ საეპისკოპოსოებზე, დემოგრაფიულ სტაგნაციასა და ოსმალეთის უხეშ ინტერვენციაზე. ასევე აღსანიშნავია „ტყვის სყიდვაც“, რომელიც განსაკუთრებით ცუდად აისახებოდა ქვეყნის ეკონომიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილისა, საერო ხელისუფლებისა და ეკლესიის ურთიერთობების ანალიზი, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია.

ქართული თხრობითი ნარატიული ძეგლების, უცხოელი კათოლიკე მისიონერებისა და რუსი ელჩების ცნობების, ქართული ისტორიული საბუთების, ოსმალური საარქივო და ქართული ეპიგრაფიკული მასალების ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის აქტიურობა ერთგვარად განსაზღვრავდა ქვეყნის საზოგადოებ-

რივ ცხოვრებას, ის აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ ცხოვრებაში. ვხვდებით ეკლესიის მხარდაჭერას საერო გადაწყვეტილებებისადმი, თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ მეფეებსა და მთავრებს შორის გამუდმებული ომების სინამდვილეში, ეკლესიაც არ იყო ყოველთვის კონსოლიდირებული.

ლუკა ნებიერიძე

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის II კურსის სტუდენტი

ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი ***ალექსანდრე ბოშიშვილი***

შუა საუკუნეების ქართული ფეოდალური ლაშქრისლოგისტიკა საგარეო ლაშქრობების დროს (XI–XVIII სს.)

შუა საუკუნეების ქართული ფეოდალური ლაშქრის ლოგისტიკის საკითხებს ქართულ ისტორიოგრაფიაში რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა. ამ საკითხს საგანგებო წერილი მიუძღვნეს ჯაბა სამუშიამ და მამუკა წურწუმიამ, მეცნიერებმა ქართული ფეოდალური ლაშქრის მომარაგებისა და სამხედრო კვების საკითხები ზოგად კონტექსტში შეისწავლეს, თუმცა ქართული ლაშქრის ლოგისტიკა და მომარაგების საკითხები საგარეო ლაშქრობების დროს აქამდე მკვლევართა ყურადღების ცენტრში არ მოქცეულა და მოცემული მოხსენება ამ დანაკლისის შევსების ერთგვარი მცდელობა იქნება.

როგორც ანტიკურ პერიოდში, ასევე შუა საუკუნეებში, ნებისმიერი ტიპის არმიისთვის მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ლაშქრობის წარმატებით დასრულებისთვის აუცილებელი სამხედრო საჭიროებებით არმიის მომარაგება ურთულესი პროცესი იყო. დამხვდურებს შესაძლოა გამოეყენებინათ „გადამწვარი მიწის“ ტაქტიკა, რომლის დროსაც ანადგურებდნენ ადგილობრივ რესურსებს და ქვეყანაში შემოჭრილ სამხედრო ძალას არ აძლევდნენ მათი გამოყენების საშუალებას. აქედან გამომდინარე, ბიზანტიური სამხედრო ტრაქტატების მიხედვით, აუცილებელი იყო არმიას საკუთარი ლოგისტიკა და მომარაგების სისტემა ჰქონოდა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე შესვლის დროს. თუმცა, მიუხედავად ამისა, უახლოეს პერიოდამდეც კი მიღებული პრაქტიკა იყო საგარეო სამხედრო კამპანიების დროს ადგილობრივი რესურსებისთვის ძარცვა

და მათი გამოყენებით არმიის მომარაგება. ამ მეთოდს დასავლურ ისტორიოგრაფიაში „ფურაჟირება“ ეწოდება, ხოლო გვიანი პერიოდის ქართული წყაროები მას „საქონლის შოვნას“, იმ სამხედრო შენაერთს კი, რომელიც ამ ოპერაციას ახორციელებდა „მარბიელს“, „ჩაფაულის კაცებს“ ან „თარეშის კაცებს“ უწოდებდნენ.

რომაული წყაროების მიხედვით ფურაჟირების („საქონლის შოვნის“) პროცესი 4 ნაწილად იყოფოდა: 1) ფურაჟირება წყლისთვის (Aquatio) 2) ფურაჟირება პირუტყვის საკვებისთვის (Pabulatio) 3) ფურაჟირება შეშისთვის (Lignatio) და 4) ფურაჟირება მარცვლეულისა და მეომრებისთვის საჭირო სხვა საშუალებებისთვის (Frumentatio). ქართული წყაროები იძლევიან იმის საშუალებას რომ კლასიფიკაცია მსგავსი მეთოდით მოვახდინოთ შუა საუკუნეების ქართული ფეოდალური ლაშქრის კვლევის დროს. მაგალითისთის, ავღანეთში ერთ-ერთ ადგილობრივ ტომთან, ბელუჯებთან, ბრძოლის შემდეგ მწყურვალმა ქართველებმა სისტანის ხანის რჩევით ორი აღაჯი ტერიტორია გაიარეს, სადაც წყარო იპოვეს, თუმცა, სეხნია ჩხეიძის ცნობით, წყალი იმდენად მარილიანი და მლაშე იყო, რომ მას გაჭირვების ჟამს კურდღელიც კი არ დალევდა. თამარ მეფის დროს, ირანში ლაშქრობისას, ქართველებმა, სპარსელი ისტორიკოსის, სადრ ალ-დინ ალი იბნ ნასირ ჰუსაინის ცნობით, დაარბიეს ნახჭევანი და ქალაქ თავრიზი, ტყვედ ჩაიგდეს უამრავი ადამიანი და „სასოფლო დასახლებებიდან“ გაიტაცეს თითქმის მთელი საქონელი.

იუვალ ნოე ჰარარი მიიჩნევს, რომ შუა საუკუნეების და ახალი პერიოდის არმიები, მართალია, იყენებდნენ ფურაჟირების მეთოდს, თუმცა ისინი მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე მაინც დიდი აღალისა და სურსათ-სანოვაგის თანხლებით მიდიოდნენ, ხოლო ძარცვის გზით ადგილობრივი რესურსების მოპოვებას ჰქონდა სტრატეგიული დანიშნულება. არმიები მაქსიმალურ ზიანს აყენებდნენ მოწინააღმდეგის მიწას, ისაკუთრებდნენ ლოგისტიკისთვის საჭირო რესურსებს და არ აძლევდნენ მათი გამოყენების საშუალებას თავად დამხვდურ ძალას. ქართული ფეოდალური ჯარი რომ მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე საკუთარი სურსათ-სანოვაგის თანხლებით შედიოდა დასტურდება შემდეგი ფაქტით. მაგალითად, სპარსელი ისტორიკოსი სადრ ალ-დინ ჰუსაინის ცნობით საქართველოს მეფე გიორგი III 1163 წელს სომხეთში მუსლიმურ კოალიციასთან ბრძოლის დროს **„გამოვიდა უზარმაზარი არმიით და აღალით“** (ხაზი ჩემია – ლ.ნ). სპარსელი ისტორიკოსის გადმოცემით, აქამდე არცერთ „ურწმუნოს“ (ანუ ქაფირს, არამაჰმადიანს – ლ.ნ) არ შეუკრებია ამ სიდიდის ჯარი, რომელსაც უზარმაზარი რაოდენობის საბრძოლო საშუალებები, მოწყობილობა, აღჭურვილობა და მაღალი ხარისხის ცხენები და ჯორები გააჩნდა.

ნინი ჯაფარიძე

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის I კურსის სტუდენტი

ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ლერი თავაძე

რომის ექსპანსიის მიზეზები ძვ. წ I საუკუნის 60-იანი წლების საქართველოში

ძვ.წ. I საუკუნის 60-იან წლებში გნეუს პომპეუსის მიერ სამხრეთ კავკასიაში განხორციელებული ლაშქრობები მნიშვნელოვანი ეტაპია როგორც რომის აღმოსავლური პოლიტიკის, ასევე ქართული სახელმწიფოების საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების ისტორიაში. აღნიშნული საკითხის შესწავლა საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ქართულ-რომაული პოლიტიკური და სამხედრო ურთიერთობები, რომლებიც შემდგომ საუკუნეებშიც გაგრძელდა და მნიშვნელოვანი გავლენა იქონია რეგიონში განვითარებულ პროცესებზე. გნეუს პომპეუსის ლაშქრობა არა მხოლოდ სამხედრო მოვლენა, არამედ საერთაშორისო პოლიტიკის, გეოპოლიტიკური ინტერესებისა და რეგიონული ძალთა ბალანსის გამოხატულებაც იყო.

მოხსენებაში წარმოდგენილია ის ძირითადი მიზეზები, რომლებმაც განაპირობა რომის ექსპანსია იბერიასა და კოლხეთში. პირველ რიგში ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ იბერია პონტოს სამეფოს მოკავშირეს წარმოადგენდა, ხოლო კოლხეთი, ფაქტობრივად, პონტოს სამეფოს შემადგენელი ქვეყანა იყო. შესაბამისად, რომისათვის აუცილებელი გახდა პონტოს მოკავშირე ძალების განეიტრალება და რეგიონში საკუთარი გავლენის გაფართოება.

მოხსენებაში, ასევე, განხილული გვექნება იბერიის პოლიტიკური კავშირი სომხეთთან, რომელიც რომის მთავარი მოწინააღმდეგე იყო კავკასიაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო და სავაჭრო გზების კონტროლის მნიშვნელობას, რადგან აღნიშნული რეგიონი მნიშვნელოვან დამაკავშირებელ სივრცეს წარმოადგენდა შავი და კასპიის ზღვების მიმართულებით. აგრეთვე, საგულისხმოა ჩრდილოეთის გადმოსასვლელთა, კავკასიონის უღელტეხილების, სტრატეგიული მნიშვნელობა, რომელთა კონტროლი რომისთვის სამხედრო უსაფრთხოებისა და მომთაბარე ტომების კონტროლის საშუალება იყო.

მოხსენებაში განხილული იქნება იმ ღვაწლმოსილ თუ ნაკლებად ცნობილ ავტორთა სამეცნიერო კვლევები, რომლებიც ამ საკითხზე მუშაობდნენ, მათ შორის: ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, გიორგი მე-

ლიქიშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნოდარ ლომოური, დეივიდ ბრაუნდი, თემურ თოდუა, თედო დუნდუა, იულონ გაგოშიძე და სოსო მარგიშვილი, გელა გამყრელიძე, კახაბერ ფიფია, ნიკოლა პრუდომი და სხვა.

კესო ღონღაძე

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი

ხელმძღვანელი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი ***მარიკა მშვილდაძე***

ანტიკური ქალღვთაებები ქართლისა და კოლხეთის ტერიტორიაზე ახ.წ. I–IV საუკუნეებში

(ტიხე-ფორტუნა; ქარიტები)

I-IV საუკუნეები საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენს. ამ დროს ქართული სახელმწიფოების პოლიტიკური ორიენტაცია დასავლეთისაკენ იყო მიმართული, ხოლო რომის იმპერიასთან ურთიერთობები მრავალმხრივი და აქტიური ხასიათით გამოირჩეოდა, რაც საკვლევი საკითხის კონტექსტში მეტად საყურადღებოა.

არტეფაქტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ აღნიშნულ პერიოდში როგორც ქართლის (იბერია), ისე კოლხეთის ტერიტორიაზე ანტიკური სამყაროდან, რომის იმპერიიდან შემოსული ღვთაებები ფართოდ იყო გავრცელებული. რელიგიას კი განმსაზღვრელი როლი ეკისრება სახელმწიფოს სტაბილურობის, ერის მორალური საფუძვლების, კულტურული ფასეულობების ჩამოყალიბებაში.

ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს, გავარკვიოთ, საქართველოს ტერიტორიაზე I-IV საუკუნეებში, ანტიკურ სამყაროში ქალღვთაებების – ტიხე-ფორტუნასა და ქარიტების გავრცელების არეალი, დავადგინოთ მათი პოპულარობის მიზეზი.

შესაბამისად, ნაშრომში გაანალიზებულია ტიხე-ფორტუნას – იღბლისა და კეთილდღეობის სიმბოლოსა და ქარიტების – ქალური მომხიბვლელობისა და ჰარმონიის ამსახველი ღვთაებების, დანიშნულება ანტიკურ სამყაროში ქართლსა და კოლხეთში. მოხსენება დეტალურად განმარტავს, როდის და რა გზით შემოდის აღნიშნული ღვთაებები საქართველოს ტერიტორიაზე.

კვლევამ აჩვენა, რომ ქარიტების (გრაციები) კულტის შემოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე ახ. წ. III-IV საუკუნეებით განისაზღვრება. ქა-

რიტების კულტის არსებობა დაფიქსირებულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ არქეოლოგიური მასალის შესწავლის შედეგად, მათი თაყვანისცემის არეალი არც ისე დიდია, დღესდღეობით არსებული არტეფაქტები ამის თქმის საშუალებას არ იძლევა.

რაც შეეხება ტიხე-ფორტუნას კულტს, კვლევის შედეგად ვლინდება, რომ იგი ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ღვთაებას წარმოადგენდა ქართლისა (იბერია) და კოლხეთის ტერიტორიაზე, რაც ანტიკურ სამყაროსთან არსებული პოლიტიკურ-კულტურული კავშირების დასტურად შეიძლება ჩაითვალოს. ტიხე-ფორტუნას კულტი ძირითადად გავრცელებულია ურბანისტულ ცენტრებში მცხოვრები მოსახლეობის ყველა ფენაში, უმეტესად, ანტიკურ კულტურას ნაზიარებ, რომანიზებულ მოსახლეობაში.

თემა აქტუალურია, რადგან იგი წარმოაჩენს საქართველოს, როგორც ანტიკური სამყაროს ნაწილს და რელიგიურ ასპექტებს, რომლებიც ქართული ისტორიისა და დღევანდელი კულტურის ფორმირებაში ირიბად აისახება.

შუშანიკ მანწკავა

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი

ხელმძღვანელი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ-ს ასოცირებული პროფესორი ***მიხეილ ბახტაძე***

ქართლის გაქრისტიანების თარიღის შესახებ

უძველესი დროიდან რელიგია ერის ცნობიერების ფორმირებაში უდიდეს როლს თამაშობდა. იგი ყოველთვის ბმაში იყო კულტურასა და პოლიტიკასთან. ქართველთათვის ქრისტიანობა, შემდგომში კი მართმადიდებლობა, ქართველობასთან იყო გაიგივებული, გამუსლიმანებულ ქართველს თათარს ეძახდნენ, ხოლო კათოლიკეს – ფრანგს, რაც ცხადყოფს იმას, თუ რამხელა გავლენა ჰქონდა სარწმუნოებას ქართველთა ეროვნული ცნობიერების ფორმირებაში. შესაბამისად, გაქრისტიანებაც გარდამტეხი მომენტი უნდა ყოფილიყო ჩვენს ისტორიაში, როცა ძველი, წარმართული რელიგია – არმაზის კულტი შეცვალა ქრისტიანობამ, თუმცა, სამწუხაროდ, წყაროებმა დაზუსტებით არ შემოგვინახა ასეთი მნიშვნელოვანი მოვლების თარიღი.

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული ვერსიის თანახმად, ქართლი გაქრისტიანდა 326 წელს. დღეისათვის ეს ვარიანტია საზოგადოებაში დამკვიდრებული. რამდენიმე ათეული წლის წინ მართებულად მიჩნეული იყო ივანე ჯავახიშვილის მიერ დასახელებული თარიღი – 337 წელი, თუმცა დროთა განმავლობაში ეს ვერსია გადაისინჯა და დღეს-დღეობით ნაკლებადაა აქტუალური. არსებობს სხვა ვარიანტებიც, რომლებიც არანაკლებ იმსახურებს ისტორიკოსთა ყურადღებას. გამოთქმული ვერსიებიდან უმრავლესობა მეოთხე საუკუნეზე მოდის. ვინაიდან გაქრისტიანების საკითხი უკვლევიათ ისეთ გამოჩენილ პიროვნებებს, როგორებიც არიან ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ნოდარ ლომოური, ალექსანდრე ბარამიძე, ანანია ჯაფარიძე და სხვანი.

მოხსენებაში გამოყენებულია ისტორიული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა, მათ შორის შემდეგი ავტორების ნაშრომები: ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, გ. გოზალიშვილი, ვ. გოილაძე, კ.კეკელიძე, ნ. ლომოური, ს. ყაუხჩიშვილი, მ. ჩხარტიშვილი, გ. ალასანია, ა. ჯაფარიძე, ა. ოქროპირიძე და სხვანი. რაიმე ახლის თქმა ძალიან რთულია. მოხსენების მიზანია სხადასხვა მკვლევართა მოსაზრებების შესწავლა, შედარება და განხილვა.

ოთო შიშინაშვილი

სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
თავდაცვა და უსაფრთხოების მიმართულების იუნკერი

ხელმძღვანელები: თსუ-ს მოწვეული ლექტორი, ეროვნული თავდაცვის აკადემიის ასისტენტ-პროფესორი ***ნინო გაბინაშვილი****;*
სოციალური მეცნიერების დოქტორი, ეროვნული თავდაცვის აკადემიის ასისტენტ-პროფესორი ***სოფიკო მეტრეველი***

უფლისციხის კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობა

უფლისციხე წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს არქეოლოგიურ ძეგლს, რომელიც ნათლად ასახავს ქვეყნის კულტურულ, რელიგიურ და სოციალურ განვითარებას უძველესი პერიოდიდან შუა საუკუნეებამდე. კლდეში ნაკვეთი ქალაქი გამოირჩევა უნიკალური არქიტექტურითა და სტრატეგიული მდებარეობით, რის გამოც იგი მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა.

არქეოლოგიური კვლევებით დადასტურებულია, რომ უფლისციხე ჯერ კიდევ ძვ.წ. I ათასწლეულში იყო დასახლებული. აქ აღმოჩენილია ნაგებობები, საკულტო ტაძრები, საცხოვრებელი კომპლექსები, სამეურნეო სივრცეები და გვირაბები, რაც მიუთითებს მაღალგანვითარებულ ურბანულ სისტემაზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წარმართულ საკულტო ობიექტებს, რომლებიც გვიჩვენებს ძველი რელიგიური ტრადიციების არსებობას და მათ ტრანსფორმაციას ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ.

ქალაქის მნიშვნელობა ასევე განპირობებული იყო მისი მდებარეობით მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების სიახლოვეს. უფლისციხე აკონტროლებდა ეკონომიკურ ნაკადებს და წარმოადგენდა კავკასიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს. მისი ბუნებრივი კლდოვანი რელიეფი და ხელოვნურად შექმნილი თავდაცვითი ელემენტები ქალაქს ძლიერ და პრაქტიკულად მიუდგომელ სიმაგრედ აქცევდა.

უფლისციხე არა მხოლოდ საქართველოს უძველესი ისტორიის მნიშვნელოვანი მოწმობაა, არამედ ქვეყნის კულტურული იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილიც. მისი არქეოლოგიური და ისტორიული ღირებულება ნათლად წარმოაჩენს ქართველი ხალხის განვითარების მაღალ დონეს, ურბანულ კულტურასა და თავდაცვით შესაძლებლობებს. უფლისციხის დაცვა, კვლევა და პოპულარიზაცია მნიშვნელოვანია როგორც ეროვნული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად, ისე საქართველოს ისტორიის საერთაშორისო დონეზე წარმოსაჩენად.

გიორგი თედიაშვილი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი

ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

ძამას ციხე

საქართველოს თავდაცვით ნაგებობათა შორის ერთ-ერთი საინტერესო ციხე-სიმაგრეა ძამას ციხე. იგი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, ქარელის მუნიციპალიტეტის სამხრეთით, ზღვის დონიდან 1000 მეტრის სიმაღლეზე. მდინარე ძამას მარჯვნივ არსებულ კლდოვან ფერდობზე. ციხე შუა საუკუნეების საქართველოს გამორჩეული ფორტიფიკაციული ნაგებობაა თავისი ისტორიული და სამხედრო მნიშვნელობით.

ძამის ციხის პირველი გამოჩენა საისტორიო ასპარეზზე X საუკუნის 70-იანი წლების პოლიტიკურ მოვლენებს უკავშირდება, „მატიანე ქარ-

თლისაიში“ დაცულია ცნობა, რომლის მიხედვითაც აფხაზთა მეფე დემეტრესა და მის ძმას თეოდოსს შორის მტრობა ჩამოვარდა. თეოდოსმა ძმისთვის ტახტის წართმევა განიზრახა, თუმცა დამარცხდა და თავი შეაფარა ძამას ციხეს, რომელსაც იმ დროს ადარნესე ძამელი ფლობდა. დემეტრემ სამთვიანი ალყა შემოარტყა, თუმცა ციხის აღება ვერ შეძლო. ძამას ციხე აქტიურად ჩანს, ასევე, საქართველოს მეფის დავით VIII-ის დროს, როდესაც, როგორც ჟამთააღმწერელი წერს, ოსებს მოუნდომებიათ ციხის დაკავება, მაგრამ ქართველებს გაუმარჯვიათ. მოგვიანო ხანის ძამას ციხის შესახებ ცნობები დაცული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს, რომელიც წერს რომ ციხეს ფლობდნენ ციციშვილები.

გვიანი შუა საუკუნეებიდან ციხის ფუნქციური დატვირთვა იცვლება. სამხრეთ საქარათველოდან გადმოდის ფანასკერტელთა საგვარეულო და სამემკვიდროდ იღებს ძამას ხეობას, იწყება საციციანოს ჩამოყალიბება და ეს სიმაგრე გარდაიქმნება ფეოდალურ რეზიდენციად. თემურ ლენგის შემოსევების შემდგომ პერიოდში, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება დასუსტდა, ძამას ციხე ადგილობრივ ადმინისტრაციულ და სამხედრო ცენტრად გადაიქცა. თავადი ფანასკერტელ-ციციშვილები ციხეს XVIII საუკუნის ბოლომდე ფლობდნენ.

რქიტექტურული თვალსაზრისით ძამას ციხე რთული რელიეფის რაციონალურად გამოყენების კარგი ნიმუშია. ციხის ზუსტი აგების თარიღი უცნობია, მაგრამ ეტყობა, რომ იგი მრავალჯერ არის აღდგენილი და გადაკეთებული, რაც მის სტრატეგიულ მნიშვნელობას მიუთითებს. ციხის უმაღლესი წერტილია ციტადელი, რომელიც მოიცავს სათვალთვალო კოშკებსა და სათავსოებს. ციხის ქვედა გალავანი უზრუნველყოფდა სამეურნეო ნაგებობების დაცვას, ხოლო შიდა გალავანი პასუხისმგებელი იყო ციხის უსაფრთხოებაზე. ციხის შიგნით არსებობდა მცირე ზომის დარბაზული ტიპის წმინდა გიორგის ეკლესია. გვიან ფეოდალურ ეპოქაში ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენასთან ერთად ძამას ციხემაც განიცადა ადაპტაცია, გალავანს დაემატა სპეციალური ადგილები, საიდანაც შესაძლებელი იყო თოფისა და ზარბაზნის გამოყენება. ციხის გალავნები და კოშკები, ძირითადად, აშენებული იყო ადგილობრივი ნატეხი ქვით, რომელთა შორის შემაერთებლად გამოიყენებოდა კირხსნარი. თაღები და სარკმლები კი ამოყვანილია ქართული ბრტყელი აგურით, ნაგებობის გადასახურად გამოიყენებოდა ღარიანი კრამიტი.

XIX საუკუნის დასაწყისი საქართველოს ისტორიის გარდამტეხი პერიოდია, ქვეყანაში მყარდება რუსეთის ბატონობა, ძველმა ფეოდალურმა თავდაცვითმა სისტემამ აქტუალობა დაკარგა, დაიშალა ციციშვილთა სამფლობელო და ამ მხარემაც დაკნინება დაიწყო, ციხემაც თანდათან მნიშვნელობა დაკარგა, კედლებმა, რომლებმაც მრავალ საუკუნეს გაუძლეს, ნგრევა დაიწყო. ციხის შენახვა-განახლებისთვის რესურსები აღარ გამოიყოფოდა, ოდესღაც მძლავრი რეზიდენცია მუდმივი მოსახლეობის-

გან დაიცალა და როგორც ხშირად ხდება ხოლმე ადგილობრივმა მოსახლეობამ დაიწყო ციხის ისტორიული ნაწილების დაშლა და სამშენებლო მასალად გამოყენება, განსაკუთრებით დაზიანდა ციხის სამხრეთ-დასავლეთ კალთა.

კომპლექსმა ახალი სიცოცხლე 2008 წელს შეიძინა, როდესაც ძამას ციხის ნანგრევებზე დაარსდა მზოვრეთის მამათა მონასტერი, მროველ-ურბნელი ეპისკოპოსის იობის ლოცვა-კურთხევით. დაიწყო ციხის ნანგრევების გაწმენდა, ჩაატარდა აღდგენითი სამუშაოები და სამონასტრო ინფრასტრუქტურის მოწყობა, კეთილმოეწყო შიდა ეზო და სხვა სივრცეები. დღეს მზოვრეთის ციხე შთამბეჭდავი სამონასტრო კომპლექსია ძამას ხეობაში. იგი ერთდროულად არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და მოქმედი მამათა მონასტერი.

სალომე გიორგაძე

თსუს-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი

ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

კალიპოსის მონასტერი შავ მთაზე – ქართული სულიერებისა და კულტურის მნიშვნელოვანი კერა

საქართველოს ისტორიული წარსულიდან გამომდინარე, ქართველთა სულიერი და კულტურული მოღვაწეობა მხოლოდ ქვეყნის საზღვრებით არ შემოიფარგლებოდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ სამონასტრო კერებს, რომლებიც ბიზანტიურ სამყაროში ფუნქციონირებდნენ. ამ მხრივ შავი მთა ანტიოქიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა, სადაც ქართული სამონასტრო ცხოვრება ინტენსიურად ვითარდებოდა. თამარ ოთხმეზურის თანხმად, მწიგნობრული საქმიანობა ანტიოქიის რეგიონში XI საუკუნის 30-იანი წლებიდან უნდა დაწყებულიყო. სწორედ ამ სამონასტრო სივრცეს ეკუთვნის კალიპოსის მონასტერიც, რომელიც დღემდე ინტერესის საგნად რჩება არაერთი ქართველი მკვლევრისთვის.

კალიპოსის მონასტრის შესახებ არსებული ცნობები საკმაოდ მწირია და ძირითადად წერილობით წყაროებსა და მათ ინტერპრეტაციებს ეფუძნება. კალიპოსის ზუსტი მდებარეობა დღემდე ერთმნიშვნელოვნად დადგენილი არ არის, რაც კვლევას ართულებს, თუმცა კიდევ უფრო საინტერესოს ხდის. ამ საკითხზე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვი-

ლა ამერიკაში მცხოვრებმა ქართველმა მკვლევარმა – ვახტანგ ჯობაძემ, რომელმაც შავი მთის ქართული მონასტრების შესწავლისას სცადა კალიპოსის მონასტრის ლოკალიზაცია. მისი მოსაზრებით, მონასტერი უნდა ვეძებოთ ანტიოქიის მახლობლად არსებულ სამონასტრო არეალში, თუმცა ტოპონიმის ფორმა წყაროებში მისი სხვადასხვაგვარი მოხსენიება ზუსტ იდენტიფიკაციას ართულებს. სწორედ ამიტომ საკითხი დღემდე განიხილება. შავი მთის ქართული მონასტრები, მათ შორის კალიპოსიც, მხოლოდ სულიერი ცხოვრების ცენტრები არ ყოფილან. ისინი ქართული მწერლობისა და განათლების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. როგორც ლევან მენაბდე აღნიშნავს, მსგავსი კერები წარმოადგენდნენ ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელოვან სივრცეებს, სადაც მიმდინარეობდა ტექსტის თარგმნა, გადაწერა და გავრცელება. მაგალითად XI საუკუნეში კალიპოსში მოღვაწეობდნენ გაბრიელ და იოანე ივანწმინდელ-საფარელნი, მათ 1040 წელს გადაწერეს და კალიპოსს შესწირეს გრიგოლ ნაზიანზელისა და გრიგოლ ნოსელის თხზულებათა შემცველი კრებული, რომელიც დღემდე შემოინახა. ასევე ცნობილია, რომ ალავერდის ოთხთავი 1054 წელს დამზადებულა კალიპოსში. მონასტერში ზემოთმოხსენიებული ბერების გარდა მოღვაწეობდნენ გიორგი ათონელი, ბასილი თორელყოფილი, ბასილი კალიპოსელი, არსენ კალიპოსელი და სხვა. კალიპოსის მონასტრის მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლი საქართველოსა და ბიზანტიურ სამყაროს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ კალიპოსის მონასტრის ზუსტი ადგილმდებარეობა ჯერ კიდევ დაზუსტებას საჭიროებს, არსებული მონაცემები და მკვლევართა მოსაზრებები ნათლად აჩვენებს მის მნიშვნელოვან როლს შავი მთის ქართულ სამონასტრო ცხოვრებაში.

სალომე სამხარაძე

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი

ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის საკითხისათვის

ქართული კულტურის განვითარებაში გამორჩეულია საზღვარგარეთ არსებული კერები. ამ მხრივ საინტერესოა პეტრიწონის სავანე, რომლის დამაარსებელი XI საუკუნის ცნობილი მოღვაწე, ტაოელი გრი-

გოლ ბაკურიანის ძეა. ბიზანტიის იმპერიის დომესტიკოსი გრიგოლი უცხოეთში მოღვაწე ქართველებს შორის, მაღალი ეროვნული თვითშეგნებით გამოირჩევა.

პეტრიწონის მონასტერი თანამედროვე ბულგარეთის ტერიტორიაზე, სოფელ ბაჩკოვთან იქნა აგებული 1083 წელს. გრიგოლმა სამი ეკლესია ააშენა: ერთი ღვთისმშობლის სახელობის, ორი შედარებით მომცრო ეკლესია წმ. გიორგისა და იოანე ნათლისმცემლის სახელობის, აგრეთვე, საძვალე. დაარსების მეორე წელს გრიგოლ ბაკურიანის ძემ შეადგინა სავანის წესდება – ტიპიკონი, რომელშიც ვკითხულობთ: „...აღვაშენე მე, გრიგოლმა... რომელიც წარმოშობით ვარ აღმოსავლეთი მხარეებიდან, იბერთა უბრწყინვალესი გვარიდან.“ აღსანიშნავია, რომ მან მონასტერი უშუალოდ ქართველებისათვის ააგო, რომლებიც მის ჯარში მრავლად იყვნენ.

მონასტერს ჰქონდა თავისი ტიპიკონი, რომელიც ორ ენაზე – ქართულად და ბერძნულად იყო შედგენილი. მართალია, იურიდიული ძალა ბერძნულ ტექსტს უნდა ჰქონოდა, თუმცა ფაქტი მისი ქართული ტექსტის არსებობის შესახებ ცხადყოფს, რომ მონასტერში ქართველი ბერები მოღვაწეობდნენ, რომელთაც არ შეეძლოთ ბერძნულად კითხვა. ამის დასტურს წარმოადგენს გრიგოლ ბაკურიანის ძის სიტყვები, მოცემული ტიპიკონის დასაწყისში: „...ამ მონასტერში არსებული მონაზვნების რიცხვის განსაზღვრისა და მცნებისა და კანონისა, რომელთაც ისინი ექვემდებარებიან..., შესახებ პეტრიწონად წოდებული ციხის ადგილსამყოფელში შეკრებილ მონაზონებისა, რომელნიც ქართული წერა-კითხვისა და ენის მცოდნენი არიან და მოთავსებული არიან ახლახან აშენებულ მონასტერში“.

წესდება 30 თავისა და რამდენიმე დამატებითი თავისგან შედგება. განსაკუთრებით საყურადღებოა ტიპიკონის 24-ე თავი, რომლის მიხედვითაც გრიგოლმა ბერძნებს მონასტერში დამკვიდრება აუკრძალა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ პეტრიწონის მონასტერი ქართველებისთვის აშენდა.

ამდენად, პეტრიწონის სავანე თავისი მნიშვნელობით ერთ-ერთი გამორჩეულია ქართული კულტურის განვითარების თვალსაზრისით. მონასტრის ტიპიკონი უმნიშვნელოვანეს ცნობებს გვაწვდის მისი დაარსების, საკუთრივ გრიგოლ ბაკურიანის ძისა და სავანის ქართული ხასიათის შესახებ.

გიორგი სალთხუციშვილი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ლერი თავაძე

კვირიკე III დიდის მემკვიდრეთა საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი

კვირიკე III-ის მკვლელობის შემდეგ (1037/1039 წ.) აფხაზთა და ქართველთა სამეფოს მეფე, ბაგრატ IV ანახლებს ბრძოლას კახეთ-ჰერეთის შემოერთებისთვის. ბაგრატი კახეთ-ჰერეთის ჯართან ერთად ამ დროს თბილისს უტევს, თუმცა სარგებლობს შექმნილი ვითარებით და კვირიკეს მემკვიდრის და დისშვილის, გაგიკის, წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობს. შეთქმულთა შორის არის კვირიკეს მეორე დის ქმარი, აშოტი, მარილისის მთავარი. ბაგრატ მეოთხე წარმატებას აღწევს გაგიკთან ბრძოლაში, თუმცა ლიპარიტ IV ბაღვაშის აჯანყება ხელს უშლის კახეთ-ჰერეთის დაპყრობაში.

გაგიკი ყველა გზით ცდილობდა ლეგიტიმაციის მოპოვებას, რათა ბაგრატს არ ჰქონოდა მის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბი. „მელქისედეკ კათალიკოსის დაწერილში“ მოხსენიებულია ვინმე კვირიკე, დისწული კვირიკე მეფისა. მოხსენიებული პიროვნება დიდი ალბათობით სწორედ გაგიკია, რომელმაც კვირიკე იწოდა ბიძამისის პატივსაცემად და თავისი ლეგიტიმურობისთვის ხაზგასასმელად. შესაძლოა კვირიკე ყოფილიყო მისი ნათლობის სახელი, რომელიც უნდა მიეღო მას შემდეგ, რაც მართლმადიდებლად მოინათლა (ნ. ბერძენიშვილი)

კვირიკეს მემკვიდრეების მიერ მონეტების მოჭრა ემსახურებოდა იგივე საქმეს. გაგიკის და აღსართან I მონეტები ასახავს კახეთ-ჰერეთის საგარეო პოლიტიკას.

გაგიკის მონეტებზე გამეორებულია კვირიკეს III-ისა და რომანოზ III-ის მონეტის დიზაინი, რითაც ხაზს უსვამს ბიძამისის მემკვიდრეობას და ბიზანტიის იმპერატორის მოკავშირეობას. აღსართანის მონეტაზე კი აღარ ჩანს ქრისტიანული სიმბოლოები, რაც მის მიერ ისლამის მიღებით და სულთან ალფ არსლანის ქვეშევრდომობით იყო გამოწვეული, რაც მიმართული იყო ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ.

კვირიკიანების მთავარი მოკავშირე ბაგრატის წინააღმდეგ ბრძოლაში ბაღვაშები და ტაშირ-ძორაკერტის სამეფოა. ტაშირ-ძორაკერტის სამეფოს შექმნის თავდაპირველი დანიშნულება სწორედ აფხაზთა მეფეების ექსპანსიის შეჩრება იყო ქვემო ქართლში (ქ. ქუთათელაძე). გაგიკი სწორედ ამ სომხური სამეფოს მეფის, დავით უმიწაწყლოს ვაჟია. „მატი-

ანე ქართლისას“ მიხედვით, ბაღვაშების მხარდასაჭრად კახეთის ჯარი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც კი ლაშქრობს. ამ კოალიციის ხელმძღვანელი და ყველაზე აქტიურ წევრად ბიზანტიის იმპერია გვევლინება (ნ. შენგელია). ძველი მტრობის მიუხედავად თურქებისგან შევიწროვებული აღსართან I იძულებულია მოკავშირედ გაიხადოს ბაგრატი, რისთვისაც მის მემკვიდრეს მიათხოვა საკუთარი და (ლ. თავაძე).

კვირიკიანები იბრძვიან აღმოსავლეთით ალვანეთის სამეფოსთვის ადგილობრივ მუსლიმ მმართველებთან, გარკვეული წარმატებების მიუხედავად ეს ბრძოლა უშედეგოდ მთავრდება (ნ. შენგელია, ქ. ქუთათელაძე, თ. პაპუაშილი). აღსანიშნავია ისიც, რომ დავით უმიწაწყლო გაგიკს ეცილება რანთა მეფობას, ხოლო მისი მემკვიდრე, კვირიკე II ამტკიცებს ალვანთა კათალიკოსს, რაც ამ მხარეზე პრეტენზიის გამოცხადებას უდრის (ქ. ქუთათელაძე).

ნინო ბოჭორიშვილი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი
ქეთევან ნადირაძე

დედოფალ მართა-მარიამის პორტრეტისათვის

მართა, დედოფლობაში მარიამად წოდებული, საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის ქალიშვილი, დაიბადა და აღიზარდა საქართველოს სამეფო კარზე. მართას პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა მცირე ასაკიდან იწყება. მაშინ იგი ბიზანტიასა და საქართველოს შორის დიდი მოლაპარაკებების მონაწილე გახდა. ისტორიკოსთა თანახმად, შემდგომში მართამ მოახერხა იმ დროის მსოფლიოს ყველაზე დიდი იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება. საინტერესოა თუ როგორ ხდება მისი ისტორიული როლის ინტერპრეტაცია ლიტერატურაში. რამდენად რეალურად არის ასახული დედოფლის პოლიტიკური გავლენები ბიზანტიის იმპერიაში.

როგორც ცნობილია დიპლომატიური ურთიერთობების ერთ-ერთ ფორმას დინასტიათა შორის ქორწინება წარმოადგენს. XI საუკუნეში ქართული დიპლომატიის მნიშვნელოვან მიღწევად მართა ბაგრატიონისა და ბიზანტიის მომავალი იმპერატორის მიხეილ VII დუკას ქორწინება ითვლება. ეს ქორწინება არ იყო მხოლოდ ორ სახელმწიფოს შორის კავშირი,

ეს იყო უმაღლესი პოლიტიკური აქტი, მიზანი: საქართველო-ბიზანტიას შორის პოლიტიკური და დიპლომატიური კავშირი მომძლავრებულ თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ. ვფიქრობ, მართა-მარიამმა როგორც საქართველოს სხელმწიფოს, ასევე ბიზანტიის ხელისუფალთა მოლოდინები გაამართლა.

მართას ჯერ კიდევ პატარა ასაკიდანვე გადედოფლება უწინასწარმეტყველა დიდმა ქართველმა მოღვაწემ გიორგი მთაწმინდელმა. ამის შესახებ ვიგებთ გიორგი მცირეს „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებიდან“, რომელშიც წერია: „უწყოდეთ ყოველთა, ვითარმედ დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდაო“. მარი ბროსეს, ივანე ჯავახიშვილის, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობის გათვალისწინებით, მარიამი ბიზანტიის სამეფო კარზე უნდა გათხოვილიყო 1066 წლის ახლო ხანებში. 1065-1066 წლებში ის 13-14 წლის უნდა ყოფილიყო, ბიზანტიის კანონმდებლობა კი ნებას რთავდა ამ ასაკის ქალს დაქორწინებულიყო. მართა-მარიამი თავისი დროის ერთ-ერთი სახელგანთქმული და უმშვენიერესი ქალი იყო. მართას წარმატება გარკვეულწილად მისმა ფიზიკურმა მშვენიერებამაც განსაზღვრა. მას ჰქონდა ყველა ის თვისება – გარეგნობა, აღზრდა, ჭკუა, განათლება რომელთა მეშვეობით ხიბლავდა გარემოცვას. ბიზანტიელი თუ ქართველი ისტორიკოსები არაერთგზის საუბრობენ მართას მომხიბვლელობაზე. ისტორიამ შემოგვინახა მისი ვიზუალური აღწერილობა. ბიზანტიელ მეისტორიეთა შორის დედოფლის ფიზიკურ მახასიათებლებზე დეტალურ ცნობებს გვაწვდის ანა კომნენე, ამ უკანასკნელის ცნობები ნამდვილად ნდობის ღირსია, რადგან რვა წლის ასაკიდან დედოფლის კარზე იზრდებოდა, როგორც თავად აღნიშნავს, დედოფალს ძალიან ჰყვარებია და მას საიდუმლოებსაც უმხელდა. მარიამ დედოფლით მოხიბლულია ბიზანტიელი ისტორიკოსი მიქელ პსელოსი, რომელიც შესანიშნავად აღგვიწერს დედოფლის ფიზიკურ თუ სულიერ ღირსებებს. ქართველი მეცნიერი ავთანდილ მიქაბერიძე კი თავის ნაშრომში, „მართა ბაგრატიონი ბიზანტიასა და საქართველოში“, დედოფალს მეორე „მედეას“ უწოდებს. მართაყოფილ მარიამს, ქართულ და უცხოურ წყაროებში განსხვავებულად მოიხსენიებენ. ამიტომ, ნაშრომში განხილული იქნება მართას სახელთან დაკავშირებული ისტორიოგრაფიული თვალსაზრისები.

თემური მეზურნიშვილი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი

ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

გიორგი II-ის ტახტიდან გადადგომის საკითხის შესახებ

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თქმით, 1089 წელს გიორგი II-მ „დაადგა გჳრგჳნი მეფობისა“ თავის ვაჟს დავითს. დღემდე ბუნდოვანია, იყო თუ არა რაიმე ძალდატანება გიორგის მიმართ, როცა მან დავითი მეფედ გამოაცხადა. ზოგიერთი ისტორიკოსი დავით აღმაშენებლის ნაწარმოებზე „გალობანი სინანულისანი“ და ანდერძზე შიომღვიმის მონასტრისადმი, სადაც ნათქვამია, „უფალო ღმერთო, დავითს მიუტევე ბრალნი მისნი სიყრმისა და ცთომილებისანი“, დაყრდნობით აცხადებს, რომ დავითს ბრალი მიუძღოდა მამის წინაშე.

დასახელებულ მოსაზრებას, რომ გიორგი II-ის პოლიტიკით უკმაყოფილო სამეფო კარმა მისი გადაყენება გადაწყვიტა, ასევე მხარს უჭერს თავად მეფის დამთმობი და ლმობიერი პოლიტიკა მოწინააღმდეგე ფეოდალების დასაჩუქრებასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ურჩ დიდებულებს მეფე მიწებს სჩუქნიდა, რათა თავიდან არ აჯანყებულიყვნენ. საკითხავია საიდან ჰქონდა ამ პერიოდში საქართველოს სამეფოს მიწების იმხელა ფონდი, რომ ყველა ფეოდალს, მათ შორის მოღალატეებსაც, საკმარისად რგებოდა?

სიგელი გიორგი მეფისა მღვიმისადმი, რომელიც დაახლოებით 1073 წელს არის შედგენილი, გვაუწყებს: „ქ. სიგელი გიორგი მეფისაი თრიალეთს და ტორნის ხევს სოფელთა თავისუფლებისა.“ როგორც მინაწერიდან ჩანს, მეფე გიორგი სოფლებს თავისუფლებასა და ხელშეუხებლობას ანიჭებდა.

აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, ხომ არ არის შესაძლებელი გიორგი II-ის ამგვარი დამთმობი პოლიტიკა გამხდარიყო მიზეზი იმისა, რის გამოც თავად მეფე გადააყენეს?

შესაძლოა მიწების მოწინააღმდეგე დიდებულებისთვის გადაცემით და მათი გათავისუფლებით, სამეფო კარზე უკმაყოფილება გაჩნდა, რაც თავის მხრივ მეფისადმი ოპოზიციურ განწყობილებას ქმნიდა და აძლიერებდა, რამაც დიდებულების მეორე ნაწილს მისცა იმის საშუალება, რომ გიორგის გადადგომა მოეთხოვა. სხვაგვარად როგორ შეიძლება აიხსნას მეფის ტახტიტან ჩამოშორება და მის ადგილას ახალგაზრდა 16 წლის დავითის კურთხევა? ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხი სამომავლოდ ღრმა კვლევასა და ძიებას მოითხოვს.

ლაშა სულაქველიძე

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ-ს ასოცირებული პროფესორი ***მიხეილ ბახტაძე***

გადმოსახლებულ ყივჩაღთა რაოდენობის საკითხისათვის (XII სს.)

ყივჩაღთა გადმოსახლების საკითხს ქართულ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. დავა მათი რაოდენობის შესახებ დღემდე არ არის დასრულებული. აღნიშნული ნაშრომის მიზანი ამ საკითხზე ჩვენი შეხედულების წარმოჩენაა.

მიუხედავად იმისა, რომ ყივჩაღთა რაოდენობაზე წარმოდგენას დავითის ისტორიკოსი გვიქმნის, ეს ცნობა დაზუსტებისთვის საკმარისი არ არის. ისტორიკოსთა ნაწილი ყივჩაღთა რაოდენობის განსაზღვრისას სწორედ მის ცნობას ეყრდნობოდა (ი. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ა. კიკვაძე, ჯ. სტეფნაძე, ზ. ანჩაბაძე, მ. ცინცაძე, რ. მეტრეველი, ს. კაკაბაძე), ნაწილი კი მას უარყოფდა (ს. მარგიშვილი).

აღნიშნულ ნაშრომში განხილულია ყივჩაღთა გადმოსახლების საკითხთან დაკავშირებული სიძნელეები. იმ ეპოქის სახელმწიფოებრივი მდგომარეობა, მომთაბარე ხალხის ინტერესები და საჭიროებები. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, არსებული წყაროების ანალიზი, მათი შედარება, კრიტიკული შეფასება წარმოადგენს მთავარ საფუძველს საქართველოში ჩამოსახლებული ყივჩაღების რაოდენობის განსაზღვრისთვის.

ყივჩაღების რაოდენობაზე XII საუკუნის სომხური წყაროებიც გვიქმნის წარმოდგენას (მათეოს ურჰაეცი, სმბატ სპარაპეტის), თუმცა ისინი ერთმანეთისგან გამომრიცხავ ინფორმაციას გვაწვდის.

მიგვაჩნია, რომ დავითის ისტორიკოსის ცნობის გამოყენება აუცილებელია. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიკოსის ცნობა ბოლომდე მკაფიო არ არის და მისი ინტერპრეტაცია სხვადასხვა კუთხითაა შესაძლებელი, მისი გადაჭრით უარყოფა შესაბამისი დასაბუთების, კრიტიკული ანალიზის გარეშე მართებული ვერ იქნება.

მარიამ ბარბაქაძე

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი

ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

ქართული კულტურისა და სულიერების კერები კვიპროსზე

კუნძული კვიპროსი საუკუნეთა განმავლობაში მუდამ გამოირჩეოდა ეკლესია-მონასტრების სიმრავლით, ის მნიშვნელოვან რელიგიურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა ხმელთაშუა ზღვის რეგიონში, შესაბამისად გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ X საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის საქართველოს სულიერი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა – სამონასტრო ცხოვრების აღორძინება და მრავალრიცხოვანი მონასტრების დაარსება, მჭიდროდ იყოს დაკავშირებული კუნძულის ისტორიასთან. ქართული სამონასტრო ყოფის კვალი სხვადასხვა წყაროში ფრაგმენტულად არის შემონახული, რომელთა მიხედვით როგორც ჩანს ქართველებს კვიპროსზე ჰქონდათ სხვადასხვა მონასტერი: ალამინოში (მაზოტის რაიონი), ნიქოზიაში – სადაც ყველაზე მეტნი იყვნენ, და სხვაგან. ცნობები მათ შესახებ შემონახულია საისტორიო წყაროებში, ვრცელ ანდერძ-მინაწერებში, არქეოლოგიურ მასალებსა და მათი კვლევებით მიღებულ ცნობებში, შესაბამისად, ზემოთ აღნიშნულ მასალებზე დაყრდნობით ვიგებთ, რომ კვიპროსზე ნამდვილად არსებობდა ქართველ ბერთა მოღვაწეობასთან დაკავშირებული კულტურისა და სულიერების კერები: იალია (ღალია), ლაკრონა (ხრისოლაკრონას ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი) და წმ. საბა (კარონოს წმინდა საბას მონასტერი).

სოფელ ალამინოს ტერიტორიაზე აღმოჩნდა წმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევებიც, რომელიც ნათლად მეტყველებს, რომ ოდესღაც აქ ნამდვილად მდგარა დიდი ტაძარი – იქაური მლოცველები ეკლესიის ნიშაში არსებული ადამიანის თავის ქალას და ხელის მტევნის ძვლებს ქართველი მღვდელმთავრის წმინდა ნაწილებად მიიჩნევდნენ. ღალია – კუნძულის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, ხრისოხუს ყურის სანაპიროდან აღმოსავლეთით სოფელ ღალიას ზემოთ იქნა აღმოჩენილი. ვახტანგ ჯობაძის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალა კი მნიშვნელოვანი წყაროა ქართული კულტურისა და ისტორიის შესასწავლად. კარონოს წმინდა საბას მონასტერი პაფოდან ჩრდილო-დასავლეთით დაახლოებით 30 კმ-ში მდინარე დიარიზუს აღმოსავლეთ სა-

ნაპიროზე მდებარეობს, არ არის ზუსტად ცნობილი ვინ და როდის დაარსა იგი, რაც შეხება ხრისოლაკრონას ღვთისმშობლის სახელობის მონასტერს – ის პაფოს რაიონში სოფელი სტენის ჩრდილოეთით დაახლოებით 3 კმ-ზე მდებარეობს, აშენებული უნდა იყოს XII საუკუნეში, დამაარსებლის სახელი კი უცნობია. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მონასტრების დაარსების ზუსტი თარიღები უცნობია, თუმცა წყაროებზე დაყრდნობით ჩანს, რომ უნდა მომხდარიყო 1191 წლამდე – ლათინთა მიერ კვიპროსის დაპყრობამდე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ობიექტების შესახებ ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში ფრაგმენტულია და ინტერპრეტაციულ ხასიათსაც ატარებს, ისინი ჰქმნიან გარკვეულ სურათს კუნძული კვიპროსის სამონასტრო ქსელში ქართველების აქტიური ჩართულობის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ თემაზე არსებული არა მარტო ზემოთ აღნიშნული, არამედ სხვა ინფორმაციის, შეძლებისდაგვარად, განხილვა.

მარიამ ვალიშვილი

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი

*ხელმძღვანელი – ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორი **ნაირა ბეპიევი***

დავით სოსლანი და ქართულ-ოსური ურთიერთობები XII საუკუნეში

ბაგრატიონთა სამეფო კარისა და ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა XII საუკუნეში საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე სტრატეგიული მიმართულება იყო. ქართულ-ოსური დინასტიური ქორწინებები ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში იღებს სათავეს და დროთა განმავლობაში ტრადიციულ ხასიათს ატარებს. ეს მრავალსაუკუნოვანი კავშირი XII საუკუნეში, თამარ მეფისა და დავით სოსლანის შეუღლებით უფრო მტკიცე ხდება.

მოხსენება მიზნად ისახავს, რომ წარმოაჩინოს დავით სოსლანი, როგორც თამარ მეფის მეუღლე, რომელსაც დიდი როლი მიუძღვის ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერებაში.

კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო დაეფუძნება წყაროების შედარებით ანალიზს. მუშაობის პროცესში დამუშავდება ისეთი მნიშვნელო-

ვანი წყაროები, როგორიცაა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, რომელშიც აღწერილია სოსლანის სამხედრო სტრატეგია და პიროვნული თვისებები, ასევე, ქართველი ისტორიკოსების ნაშრომები თამარ მეფეზე, XII საუკუნის საქართველოზე, ქართულ-კავკასიურ ურთიერთობებზე და სხვ. მოხსენებაში განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ ქართულ-ოსური ურთიერთობების კონტექსტზე.

დავით ჯიმშიტაშვილი

სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვა და უსაფრთხოების მიმართულების I კურსის სტუდენტი

*ხელმძღვანელები: თსუ-ს მოწვეული ლექტორი, ეროვნული თავდაცვის აკადემიის ასისტენტ-პროფესორი **ნინო გაბინაშვილი**; სოციალური მეცნიერების დოქტორი, ეროვნული თავდაცვის აკადემიის ასისტენტ-პროფესორი **სოფიკო მეტრეველი***

ქართველთა ლაშქრობა ირანში – სამხედრო ძალის დემონსტრაცია თუ პოლიტიკური კრახი?

ქართული სამხედრო და პოლიტიკური ძალის ზენიტის გამოვლინება 1210 წლის ირანული ექსპედიცია იყო. თამარის დავითიან-გორგასლიანმა ალამმა დალაშქრა თავრიზი, დაიმორჩილა მიანა, ზანგანის ციხე-გალავანი მიწასთან გაასწორა, აიღო ყაზვინი და ქალაქ გურგანის მიდამოებამდე მიაღწია. ეს იყო არა მხოლოდ სამხედრო ტრიუმფი, არამედ კავკასიაში ქართული ჰეგემონიის მკაფიო დემონსტრაციაც. თანამედროვეებისთვის საქართველო ქრისტიანული აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ წარმოჩინდა.

თუმცა ისტორიის ირონია სწორედ აქ იჩენს თავს. თხუთმეტი წლის შემდეგ, ხვარაზმშაჰ ჯალალ ად-დინ მანგუბერდი ირანის მრავალეთნიკურ და ანტიქართულ ძალებს აერთიანებს და ბაგრატიონთა სამეფოს მძიმე დარტყმას აყენებს. ჩნდება კითხვა – იყო კი 1210 წლის ექსპედიცია შორსმჭვრეტელური სახელმწიფოებრივი ნაბიჯი, თუ მხოლოდ სამხედრო ძლიერების დემონსტრაცია, რომელმაც რეგიონში ანტიქართული განწყობები გააღრმავა?

მარი ბაიდარაშვილი-ფარულავა

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ლერი თავაძე

კახეთის საერისთავო XIII საუკუნეში

საქარათველოს ისტორიაში XIII საუკუნე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდია. ამ საუკუნის განმავლობაში საქართველოს სამეფოს ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება სუსტდება, როგორც საშინაო, ასევე საგარეო ფაქტორების შედეგად. XIII საუკუნის პირველ მესამედში საქართველო დაყოფილია რამდენიმე საერისთავოდ, მათ შორის იყო კახეთის საერისთავო, როგორც სამეფოში შემავალი ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული.

XIII საუკუნის კახეთზე საუბრისას ყურადღებას იპყრობს სამი პოლიტიკური ფიგურა, როგორც მმართველები საერისთავოსი ან დუმნისა, ესენია: 1. ეგარსლან ბაკურციხელი; 2. თორღუა პანკელი; 3. ივანე აბულეთისძე. წყაროთმცოდნეობითი ბაზა შემოიფარგლება XIV საუკუნის ანონიმი ავტორის, ჟამთააღმწერლისა და ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებებით, ამასთანავე, მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს „დაწერილი ძაგან აბულეთისძისა მღვიმისადმი“.

სწორედ ამ სამი პოლიტიკური ფიგურის მოღვაწეობას ეხება ჩვენი მოხსენება, რომელშიც განხილული გვაქვს მათი მმართველობა და მათთან დაკავშირებული საკითხები.

ლაშა სამხარაძე

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი

ხელძღვანელები: ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს
ასოციაციის გამგეობის წევრი, ***გიორგი ახალკაციშვილი;***
ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი
მირიან მახარაძე

უფლისწულ სელიმის ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში (1509 წწ.) – ჯიჰადი თუ ღაზავათი

XVI საუკუნეში დასავლეთ საქართველოსა და ოსმალეთის იმპერიას შორის პოლიტიკური ურთიერთობები ხასიათდებოდა მაღალი ინტენსივობითა და დინამიკურობით. აღნიშნული ურთიერთობები ხშირად კონფლიქტურ ფორმას იღებდა და რიგ შემთხვევებში ოსმალური მხარე მას რელიგიური მოტივაციით, კერძოდ ჯიჰადის – „საღვთო ომის“ – კონტექსტშიც განიხილავდა. მოცემული პერიოდის ერთ-ერთ პირველ მნიშვნელოვან სამხედრო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ 1509 წელს ჯერ კიდევ უფლისწულ სელიმის (სელიმ I – 1512-1520 წწ.) მიერ დასავლეთ საქართველოში განხორციელებული ლაშქრობა.

კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად რჩება აღნიშნული ლაშქრობის ზუსტი დათარიღება. არსებული ქართული და ოსმალური წერილობითი წყაროები, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ავტორის მიერაა შექმნილი, ხშირად ერთმანეთთან სრულ თანხვედრაში არ მოდის, რაც განაპირობებს მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას და განსხვავებული ჰიპოთეზების ჩამოყალიბებას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საკითხი, თუ რა სტატუსი შეიძლება მიენიჭოს უფლისწულ სელიმის აღნიშნულ სამხედრო მოქმედებას: შეიძლება თუ არა მისი შეფასება როგორც ჯიჰადი, თუ უფრო მართებულია მისი ღაზავათად ინტერპრეტაცია. სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირია ამ ორი, შინაარსობრივად მონათესავე ტერმინის აღრევა ან გაიგივება, თუმცა მუსლიმურ პოლიტიკურ-რელიგიურ დისკურსში ჯიჰადი და ღაზავათი განსხვავდება ერთმანეთისგან როგორც მასშტაბით, ასევე არსითა და მიზნობრივი დანიშნულებით. კონტექსტის სათანადო ანალიზი შესაძლებელს ხდის აღნიშნული ლაშქრობის უფრო ზუსტ ინტერპრეტაციას.

მოხსენების მიზანია, გააანალიზოს და შეაჯამოს აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებული როგორც ქართული, დასავლური, ასევე აღმოსავლური წერილობითი წყაროები და თანამედროვე კვლევები, რათა განისაზღვროს 1509 წლის ლაშქრობის მიზეზები, მასშტაბი და სტატუსი, აგრეთვე მისი ადგილი რეგიონულ პოლიტიკურ პროცესებში.

ნიკოლოზ მაისურაძე

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი

ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

სერ ენტონი შერლის ცნობები შაჰ აბასისა და ქართველების შესახებ

საუკუნეთა განმავლობაში არა ერთი ქართველი ნებსით თუ უნებლიეთ გადაიხვეწა სამშობლოსგან შორს, უცხო მიწაზე. ამ მხრივ განსაკუთერებით საყურადღებოა სეფიანთა ირანი, სადაც შაჰის ხელისუფლება განსაკუთრებული შემართებით ცდილობდა გადასახლებული კავკასიელების თავის სასარგებლოდ გამოყენებას. ისინი ჩართეს სამხედრო, სამეურნეო და ადმინისტრაციულ საქმეებში. ბევრი ქართველის ისტორია, თუ რა ბედი ეწიათ სამშობლოსგან შორს, არ ვიცით, თუმცა მაინც მოგვეპოვება ცნობები ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად. ამისათვის თვალსაჩინოა ევროპელი მოგზაურების ჩანაწერები, რომლებიც თავიანთი მისიის ფარგლებში შეხვდნენ და გაიცნეს გამაჰმადიანებული ქართველები. ერთი ასეთი ბედისმაძიებელი იყო ინგლისელი მოგზაური სერ ენტონი შერლი, რომელიც სპარსეთში 1598 წელს ჩავიდა. მან საყურადღებო ცნობები შემოგვინახა არა მხოლოდ სპარსეთში მიმდინარე მოვლენებზე, არამედ ჩვენთვის ისეთ მნიშვნელოვან ისტორიულ პიროვნებებზე, როგორებიც იყვნენ ალავერდი ხან უნდილაძე, კონსტანტინე მირზა, სიმონ I, ასევე, ნაკლებად ცნობილი, მაგრამ შაჰ აბასის მარჯვენა ხელი შაჰ თამას ყული-ბეგი.

მოხსენებაში განხილული მასალა შერლის სპარსეთში მოგზაურობის შესახებ, 1613 წელს ინგლისში გამოცემული წიგნის მიხედვითაა შედგენილი. სწორედ ამ გამოცემის ანალიზითა და განხილვით შეგვიძლია გავიგოთ არა მხოლოდ ის თუ რა გზა გაიარა შერლიმ სეფიანთა სამეფოში, არამედ რა როლი ჰქონდათ მისი მოგზაურობის პროცესში ქართველებს.

თარგმნილ მასალასთან ერთად, აუცილებელია შედარება თანადროული ოფიციალური ისტორიკოსების გადმოცემებთანაც, ასევე, სხვა მოგზაურების ცნობებთან და თანამედროვე გამოკვლევებთან. მიუხედავად დანახულის აღწერისა, მოგზაურები ხშირად, უნებურად, უშვებენ შეცდომებს, რადგან ისინი კონკრეტულ გარემოებას საკუთარი ზედაპირული ცოდნით ხსნიან, ამან კი შეიძლება წყაროს არასწორი გაგება განაპირობოს.

პირველ რიგში, ნაშრომი მიზნად ისახავს უცხოური წყაროს თარგმნასა და კრიტიკულ ანალიზს. ასევე, ქართველების დიდი მნიშვნელობის ხაზგასმას ირანის სამეფო კარზე, თუ რა როლს ასრულებდნენ ისინი ქვეყნის შიდა პრობლემებთან დაკავშირებით. საკითხის შესწავლის საფუძველზე ვიღებთ სამართლიან დასკვნას, რომ შაჰ აბასის გარემოცვის წარჩინებულ ქართველებს გადამწყვეტი ადგილი ეჭირათ ინგლისელი მოგზაურის ბედის განსაზღვრაში.

სესილი სამხარაძე

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი

ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

ჩიქვანების საგვარეულოს გაძლიერება და დინასტიური ბრძოლა ოდიშის სამთავროში

XVII საუკუნის II ნახევარში დასავლეთ საქართველოში შექმნილ მძიმე მდგომარეობასთან ერთად ოდიშის სამთავრო შინაფეოდალურმა დაპირისპირებამაც მოიცვა. ლევან III დადიანის მმართველობისას, 1670-იან წლებში, დაწინაურდა გორდელი აზნაური კაცია ჩიქვანი. ჩიქვანები ჯერ კიდევ XVII საუკუნის I ნახევარში ღარიბი აზნაურები იყვნენ. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით კაცია ჩიქვანის მამა: „სვანეთს ტვირთითა ზიდვიდა თაფლსა“ და ამით „გამოიზრდებოდა“.

კაციას ძმა ჭყონდიდელი ეპისკოპოსი ლევან III-სთან დაახლოებული პირი იყო და ოდიშის მთავრის ნდობითაც სარგებლობდა. სწორედ ჭყონდიდელის ჩარევით დაწინაურდა მისი ძმა კაცია იმერეთის მეფის, ბაგრატ IV-ის კარზე. რომელმაც იმერეთში არსებული შიდა დაპირისპირებით ისარგებლა და ლეჩხუმის ბატონი გახდა. კაცია ჩიქვანს ლეჩხუმი რომ მართლაც ეკუთვნოდა, ადასტურებს მარტვილისა და ნაკურალეშის ფრესკული წარწერები.

ჭყონდიდელმა ლევან III-ს ურჩია, რომ კაციას დაახლოვებოდა, რომლის მეშვეობითაც იგი შეძლებდა მთელი ლეჩხუმის ხელში ჩაგდებას. დადიანმა ამ მიზნით კაცია ჩიქვანს სალიპარტიანო უბოძა, რაც დიდი პრივილეგია იყო, ვინაიდან სალიპარტიანო ოდიშის სამთავრო სახლის უმცროსი შტოს სამფლობელოს წარმოადგენდა. მარტვილის ტაძრის წარწერაში კაცია „ლეჩხუმისა და საინარიძოსა და სალიპარტიანოს პატრონად“ ასევე, „იმერეთისა და ოდიშის თავად და სარდლად“ იწოდება.

კაციას გარდაცვალების შემდეგ „დაიპყრა ლიპარტიანობა ძემან მისმან გიორგიმ“. მის დროს ჩიქვანები კიდევ უფრო გაძლიერდნენ. 1683 წელს გიორგი ლიპარტიანმა ოდიშის მთავრად ლევან IV დანიშნა, რომელიც, ვახუშტის ცნობით: „სახელითა ოდენ იყო დადიანი, გარნა მოქმედი ყოვლისავე იყო ლიპარტიანი“. 1704 წელს გიორგიმ თავისი ვაჟი კაცია მთავრად გამოაცხადა, თუმცა ზოგიერთი ცნობით ჯერ კიდევ გიორგი იწოდებოდა დადიანად.

ამრიგად, დინასტიური დაპირისპირება ოდიშის სამთავროსათვის ჩიქვანთა საგვარეულოს გამარჯვებით დასრულდა. შედეგად, ოდიშის სამთავროს სათავეში ძველი დადიანების დინასტიის ნაცვლად ჩიქვანები დამკვიდრდნენ, რომელნიც, მთავრად გახდომის შემდეგ, ასევე დადიანის გვარს ატარებდნენ.

მარიანა ჯალაღონია

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი

ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

აფხაზეთის სამთავარო: სოციალური სტრუქტურა და ფეოდალური ურთიერთობები

XV საუკუნის ბოლოს ერთიანი საქართველოს სამეფო ოთხი ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დაიშალა: ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის სამთავროდ. საკუთრივ აფხაზეთი იმერეთის სამეფოში შედიოდა, როგორც მისი ერთ-ერთი საერისთავო. XVI საუკუნეში ქვეყნის ფეოდალური დაშლის პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა და იმერეთის სამეფოს გამოეყო გურიისა და ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროები. ამ დროს აფხაზეთი სამეგრელოს სამთავროში შემავალი საერისთავო იყო, მაგრამ XVII საუკუნეში გამოეყო ოდიშის სამთავროს და ცალკე სამთავროდ ჩამოყალიბდა, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი მდ. კოდორზე გადიოდა. შესაბამისად, ადრინდელი ერისთავებიც მთავრები გახდნენ. აფხაზეთის მთავრები რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების მიერ სამთავროს გაუქმებამდე (1864) უცვლელად შარვაშიძეები (ჩაჩბა) იყვნენ.

XV-XVI საუკუნეებში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე რთული პროცესები მიმდინარეობს, რაც ჩრდილო კავკასიიდან მომთაბარე ტომების ჩამოსახლებას უკავშირდება – „ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის, აფხაზეთის მიწა-წყალზე შეიქმნა ჩერქეზულ-ადიღური მოდგმის სხვადასხვა ეთნოსთა კომპაქტური დასახლება, რომელთაც ჩვენმა წინაპრებმა, მსგავსად ამ რეგიონის მკვიდრი მოსახლეობისა, აფხაზი უწოდეს. ჩვენ არ ვიცით თვითონ ისინი რას უწოდებდნენ თავის თავს, სავარაუდოა, აფსუას“ (მარიკა ლორთქიფანიძე).

მთიდან ჩამოსული მოსახლეობის კომპაქტური დასახლებების შექმნის შედეგად, იწყება ახალი რელიგიური თუ სოციალური ელემენტების დამკვიდრება. ამას ხელს უწყობს ამავე რეგიონში ოსმალების დამკვიდრებაც. შედეგად მწვავდება სოციალურ-ეკონომიკური სურათი. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის აფხაზეთი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების იმ საფეხურზე იდგა, რომელსაც შეიძლება ჯერ კიდევ ადრეფეოდალური ვუწოდოთ. აფხაზეთის სოციალური განვითარების დონისთვის დამახასიათებელია შემდეგი ფაქტებიც: ფეოდალურ ურთიერთობათა და კატეგორიათა ამსახველი ტერმინების დიდი ნაწილი აფხაზურში გვიანდელ – XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დასაწყისის ნა-

სესხებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად: „ათაუდ“ (თავადი), „აშნაყმა“ (შინაყმა), „აბეგარა“ (ბეგარა), „ამოხელა“ (მოხელე) და სხვები. აფხაზეთის სოციალური განვითარების დონისთვის დამახასიათებელი იყო ე.წ. ასასობის – ერთი თემიდან მეორეში თავშეფარებულ ან სხვა მხარედან მოსული ადამიანი – ფართოდ გავრცელება. აფხაზეთის სამთავროში არსებობდა გლეხთა სხვადასხვა კატეგორიები: აშნაყმა, ანხაიუ, ამაცურაზკუ, ახოიუ, ახაშვალა. წერილობით წყაროებში ვხვდებით აფხაზეთის სამთავროში არსებულ თავადურ („ათაუად“) გვარებსაც: აჩბა (ანჩაბაძე), ემხა (ემუხვარი), ჩხოტუა, ძიაფიშ-იფა, ინალ-იფა, გეჩბა, ჩაბალურხუა, მარშანია.

ამრიგად, აფხაზეთის სამთავროში არსებობდა საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური და ფეოდალური ურთიერთობები. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ აფხაზეთში კერ კიდევ იგრძნობოდა ადრეფეოდალური ან გვაროვნულ-თემური წყობისთვის დამახასიათებელი ელემენტების არსებობა. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, ამ რეგიონში ახალი ეთნიკური ჯგუფის დასახლებასთან იყო დაკავშირებული.

ნიკოლოზ ძიმისტარიშვილი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი

ხელმძღვანელი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი ***მიხეილ ბახტაძე***

ზოგი რამ სოფელ ჩოჩხათის ისტორიული გეოგრაფიიდან

ჩოჩხათის თემი მდებარეობს ლანჩხუთის რაიონში, მდ. სუფსის მარჯვენა სანაპიროზე. მასში შედის სოფლები: ჩოჩხათი, ჯიხანჯირი, შრომისუბანი, მოედანი, ხორეთი, კოკათი, გულიანი, წიაღობანი და ოდილაური. სოფელი მოედანი ცნობილია ანტიკური ხანის ნაქალაქარითა და X-XI საუკუნეებით დათარიღებული ეკლესიით (მის ნანგრევებზე ახალი ეკლესია ააშენეს). სოფელ ჯიხანჯირს კი გადმოჰყურებს „კიბულას“, „გორგოშაულისა“, და „ნასტეფნარის“, ნაციხვრები. სწორედ, ნასტეფნარის მთაზეა აღმოჩენილი 335 ოსმალური ახჩა. ეს ყოველივე კარგადაა შესწავლილი. ჩვენს მიზანს კი წარმოადგენს, მოგახსენოთ ნაკლებად ცნობილი საკითხები სოფ. ჩოჩხათის ისტორიული გეოგრაფიისა.

ლუი გრანჟეს მიხედვით, მდინარე სუფსა გამოიყენებოდა სანაოსნოთ, შესაბამისად ვფიქრობთ, რომ მდინარის ნაპირას მდებარე სოფლების: მოედანი, კოკათისა და გულიანის მცხოვრებლებს უნდა გამოეყენებინათ გადაადგილებისათვის ის. გარდა ამისა, სოფელზე ორი მნიშვნელოვანი სახმელეთო გზაც გადიოდა: 1. ლანჩხუთი-ჩიბათი-ჩოჩხათი-ფოთი და 2. გურიანთა-ჯუმათი-ლანჩხუთი. რაც შეეხება მეორე გზას, ყველაზე ალტერნატიულ შემთხვევაში, ის უნდა გასულიყო სოფელ გულიანზე. ჩვენი აზრით, სწორედ, ეს გზა უნდა გაეკონტროებინა სოფ. გულიანში გზისპირას, ბორცვზე მდგარ ციხეს. ასევე, მოხსენებაში განვიხილავთ ტოპონიმების „ნაციხვარას“, „კოშკის თავისა“, „საყდრის ფერდის“, ეტიმოლოგიას და ყურადღებას გავამახვილებთ მათ სტრატეგიულ მდებარეობაზე. ასევე, შევეცდებით სოფელ კოკათის მთავარანგელოზის სახელობის ტაძრის ლოკალიზებას. ვფიქრობთ, ის უნდა მდგარიყო ჩვენს მიერ ნანახი ქვაჯვარასა ასომთავრული და ნუსხური წარწერით და საფლავის ქვებთან ახლოს (XIX საუკუნე). საფლავის ქვაზე ამოკვეთილია 4 სტრიქონიანი მხედრული წარწერა. ჩვენი აზრით, მასზე და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ერთ დოკუმენტში (Qd-3465) მოხსენიებული ტარიელ ძიმისტარიშვილი იდენტური პიროვნებაა. შესაბამისად, შეგვიძლია დავაზუსტოთ მისი ვინაობა.

ქრისტინე გოშხეთელიანი

თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის III კურსის სტუდენტი

ხელმძღვანელი – თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მონაწილე ლექტორი, ფილოლოგიის დოქტორი ***სოფიკო ძნელაძე***

შუა საუკუნეებისა და თანამედროვეობის სინთეზი ვასილ ბარნოვის რომანში „ისნის ცისკარი“

ქართული ლიტერატურა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით გამოირჩევა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა და სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ეროვნული ცნობიერების ფორმირებისა და შენარჩუნების უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებდა. განსაკუთრებით გამორჩეული ადგილი შუა საუკუნეებს უკავია, როდესაც ლიტერატურა არა მხოლოდ ესთეტიკური, არამედ იდეოლოგიური და სულიერი მიზნითაც იყო დატვირთული. სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ის ძირი-

თადი ფასეულობები – სარწმუნოება, სამშობლოს სიყვარული, გმირობა და ზნეობრივი სიმტკიცე – რომლებმაც შემდგომი ქართული კულტურის იდენტობა განსაზღვრეს.

ამ მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის გააზრება და მისი თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებთან დაკავშირება განსაკუთრებული მნიშვნელობით იკვეთება ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში. იგი წარმოადგენს ავტორს, რომელმაც ისტორიული წარსულის მხატვრული გადააზრება შეძლო და შუა საუკუნეების საქართველო თანამედროვე ლიტერატურულ სივრცეში გააცოცხლა. ბარნოვის ტექსტებში ისტორია აღარ არის მხოლოდ ქრონოლოგიური მოვლენების ერთობლიობა, იგი იქცევა მხატვრულ-ფილოსოფიურ სივრცედ, სადაც წარსული და თანამედროვეობა იკვეთება ერთმანეთთან.

ბარნოვის პროზა გამოირჩევა ისტორიული რომანტიზმითა და წარსულის ესთეტიზაციით. ის ისტორიულ მასალას გარდაქმნის მხატვრულ სინამდვილედ, სადაც პერსონაჟთა შინაგანი სამყარო, ფსიქოლოგიური კონფლიქტები და ღირებულებითი არჩევანი თანამედროვე ადამიანის პრობლემატიკასთან ახლოს დგას. ამგვარად, ტექსტი ერთდროულად არის წარსულის რეკონსტრუქციაც და თანამედროვეობის ანარეკლიც.

მის ნაწარმოებებში, განსაკუთრებით „ისნის ცისკარში“, შუა საუკუნეების თემატიკა თანამედროვე მნიშვნელობას იძენს. ავტორი წარსულის სიუჟეტებში აერთიანებს უნივერსალურ პრობლემებს – თავისუფლებას, მორალურ არჩევანს, ერთგულებასა და სიყვარულს, რაც მის ტექსტებს დროის საზღვრებს აცილებს. ამასთანავე, ბარნოვის გმირები გამოხატავენ ეროვნული ხასიათის ძირითად თვისებებს და აძლიერებენ ისტორიულ მეხსიერებას.

მწერლის ენა, რომელიც არქაიზმებსა და პოეტურ ელემენტებს აერთიანებს, ქმნის ეპოქის ატმოსფეროს, თუმცა ადაპტირებულია თანამედროვე მკითხველისთვის.

ბარნოვის შემოქმედება სწორედ უკავშირდება თეზისს, რომ ის შუა საუკუნეების ქართული ისტორიისა და ლიტერატურული ტრადიციის მხატვრულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს და ამით ქმნის ხიდს ისტორიულ მემკვიდრეობასა და თანამედროვე ლიტერატურულ აზროვნებას შორის.

თამარ ყვავაძე

თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის III კურსის სტუდენტი

ხელმძღვანელი – თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი, ფილოლოგიის დოქტორი ***სოფიკო ძნელაძე***

ისტორიული მეხსიერება და იდენტობის საკითხები გრიგოლ რობაქიძის რომანში „გველის პერანგი“

გრიგოლ რობაქიძის რომანი „გველის პერანგი“ ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაშრომად განიხილება. ავტორი ცდილობს ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს კულტურულ-ისტორიული გამოცდილების ფილოსოფიურ გააზრებას. იგი მიმართავს არა მხოლოდ ისტორიული ფაქტების აღწერას, არამედ იმ სულიერი და სიმბოლური საფუძვლების აღდგენას, რომლებიც ქართულ იდენტობას საუკუნეების განმავლობაში განსაზღვრავდა.

რომანის სათაური, „გველის პერანგი“, საკვანძო მეტაფორაა, რომელიც პიროვნულ ფერისცვალებასა და მეორედ დაბადებას უკავშირდება. ისტორიულ ჭრილში ეს სიმბოლო განასახიერებს საქართველოს მიერ განვლილ გზას: ძველი და შუა საუკუნეების პერიოდი არის ის „ძველი პერანგები“, რომლებიც ერმა გამოიცვალა, თუმცა მისი კვალი ერის კულტურასა და გენეტიკაში წარუშლელი დარჩა. ავტორი ცდილობს გვაჩვენოს, რომ ეროვნული იდენტობა ვერ იარსებებს, თუ მას არ გააჩნია ღრმა ფესვები და კულტურული უწყვეტობა. ამ კონტექსტში „არჩიბალდ მეკეშის მიერ მამის ძიება გაიგივებულია დაკარგული სამშობლოსა და ფესვების ძიებასთან“, რაც საბოლოოდ პერსონაჟის ზეაღსვლითა და მისი იდენტობის დაბრუნებით სრულდება. გარდა ამისა, რომანში მკაფიოდ ჩანს, რომ ინდივიდუალური ტრანსფორმაცია პარალელურად ეროვნული ტრანსფორმაციის ალეგორიას ქმნის. პერსონაჟის შინაგანი ბრძოლა და სულიერი გზის პოვნა ასახავს ერის ისტორიულ ბრძოლას საკუთარი სიწმინდისა და თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. ამგვარად, ტექსტი გვთავაზობს არა მხოლოდ პერსონაჟის პირად ისტორიას, არამედ მთლიანად ეროვნული ყოფიერების ფილოსოფიურ ინტერპრეტაციას.

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ ისტორიული მეხსიერება ავტორისთვის არის მებრძოლი ენერგიისა და ძლიერი სულის წყარო. იდენტობის საკითხი აქ განიხილება როგორც ეროვნული ფესვების ძიებისა და განახლების წადილი, სადაც შუა საუკუნეების რაინდული ეთოსი და ზოგადქართული ბუნების ამაღლებული თვისებები ცოცხლდება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ „გველის პერანგი“ არის ქართველობის არსის გამომხატველი ფილოსოფიური ნაწარმოები. გრიგოლ რობაქიძემ გვაჩვენა, რომ ისტორიული უწყვეტობის განცდა ერთადერთი გზაა ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. რომანი ამტკიცებს, რომ მიუხედავად გარეგნული ცვლილებებისა, ქართული სული ინარჩუნებს თავის პირვანდელ სიწმინდეს, რაც ერის მარადიულ სიცოცხლისუნარიანობას განაპირობებს.

სწორედ ეს არის თემის მიზანიც, რომანის განხილვის საფუძველზე ნათლად წარმოვაჩინოთ ისტორიული მეხსიერება და იდენტობის საკითხები მწერლის ამ მხატვრულ ტექსტში.

ციცინო რუსია

თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის III კურსის სტუდენტი

ხელმძღვანელი – ფილოლოგიის დოქტორი, თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი ***სოფიკო ძნელაძე***

შუა საუკუნის ისტორიული და რელიგიური ასპექტები კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“

კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ წარმოადგენს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიული და რელიგიური რეალობის მაღალმხატვრულ და ღრმა გააზრებას. ავტორი არა მხოლოდ აღადგენს XI საუკუნის ეპოქის სურათს, არამედ მკითხველს სთავაზობს იმდროინდელი საზოგადოების სულიერი, პოლიტიკური და კულტურული წინააღმდეგობის გააზრებულ ინტერპრეტაციას, სადაც ისტორია და რელიგია ერთმანეთთან მჭიდროდ არის გადაჯაჭვული.

რომანში ისტორიული ასპექტი პირველ რიგში ვლინდება სახელმწიფოს ცენტრალიზაციისა და ერთმეფიანობისთვის ბრძოლაში. გიორგი I წარმოჩენილია როგორც ძლიერი მეფე, თუმცა იგი საკუთარ თავთან წინააღმდეგობაშია და გარე სამყაროსთან ვერ პოულობს საერთოს. უწევს ერთდროულად გაუმკლავდეს როგორც საგარეო საფრთხეებს, განსაკუთრებით ბიზანტიის იმპერიასთან დაპირისპირებას, ისე შიდა ფეოდალურ ამბოხებას. ფეოდალთა განდგომა, პოლიტიკური ინტრიგები და ძალაუფლებისთვის ბრძოლა ნათლად ასახავს იმდროინდელი საქართველოს რთულ და დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებას. ამავე დროს, ისტო-

რიული ფაქტები და მწერლის მხატვრული ფანტაზია ორგანულად ერწყმის ერთმანეთს, რაც ტექსტს რეალისურობასთან ერთად სიმბოლურ სიღრმესაც სძენს.

რელიგიური ასპექტი განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთება სვეტიცხოვლის მშენებლობის პროცესში, რომელიც რომანში არა მხოლოდ არქიტექტურული ქმნილებაა, არამედ ეროვნული და სულიერი ერთიანობის სიმბოლოდ გვევლინება. ხუროთმოძღვარი არსაკიძე საკუთარ საქმიანობას აღიქვამს როგორც ღვთის მსახურებას, ხოლო ტაძრის აგება მისთვის არის არა მხოლოდ პროფესიული მოვალეობა, არამედ სულიერი მისია. ამგვარად, ხელოვნება და რწმენა ერთიანდება და ქმნის შუა საუკუნეების კულტურის არსებით ნიშანს, ღვთისადმი მსახურისა და ეროვნული იდენტობის შერწყმას.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობაც. კათოლიკოსის გავლენა მეფეზე ცხადყოფს, რომ რელიგია იმ ეპოქაში არა მხოლოდ სულიერი, არამედ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალაც იყო. ამასთან, მეფის პირადი დრამა, მოვალეობასა და სიყვარულს შორის შინაგანი ბრძოლა, სწორედ რელიგიური და ზნეობრივი ნორმების ფონზე იძენს განსაკუთრებულ სიმძაფრეს.

ამრიგად, კონსტანტინე გამსახურდია ქმნის მრავალშრიან მხატვრულ სამყაროს, სადაც შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიული და რელიგიური ასპექტები ერთმანეთთან ორგანულადაა შერწყმული. სწორედ ამ სინთეზის საფუძველზე წარმოჩნდება რომანის მთავარი იდეა, ადამიანის, ხელოვანისა და მმართველის მუდმივი ბრძოლა გარე სამყაროსთან, ისე საკუთარ შინაგან წინაღმდეგობასთან. აღნიშნული საკითხი იწვევს ჩემს ინტერესს და სწორედ ამ კუთხით განვიხილავ რომანს.

ქრისტინე კუპატაძე

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი

ხელმძღვანელი – ფოლკლორისტიკის კათედრის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის დოქტორი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი
ქეთევან სიხარულიძე

წმინდა გიორგის სახე ქართულ ზეპირსიტყვიერებაში

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს წმინდა გიორგის სახეს, რომელიც ქრისტიანული სარწმუნოებისა და უძ-

ველესი ხალხური რწმენა-წარმოდგენების სინთეზის შედეგად ჩამოყალიბდა. აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავს წმინდანის ხალხური სახის ანალიზს ქართული ფოლკლორული გადმოცემების მიხედვით.

წმინდა გიორგის კულტის გაძლიერება საქართველოში მეცხრე საუკუნიდან იწყება. ხალხურ ცნობიერებაში კაპადოკიელი წმინდანი ადგილობრივ ღვთისშვილად (იგივე „ხატი“) და ქრისტიან მებრძოლად ჩამოყალიბდა, რომელიც დევებისა და ბოროტი ძალების წინააღმდეგ იბრძოდა. ამ პროცესმა წარმოშვა წმინდანის კუთხური ვარიანტები (თეთრი გიორგი, ლომისის გიორგი, ლაშარის ჯვარი და სხვ.), რაც მოწმობს ქრისტიანობამდელი ადგილობრივი ღვთაებების თვისებების გადატანას წმინდა გიორგის სახეში.

ნაშრომში განხილულია წმინდანის როლი ისტორიულ კონტექსტშიც. ზეპირსიტყვიერი გადმოცემები მას დიდგორის ბრძოლისა და შავნაბადას ლეგენდის მონაწილედ აქცევს, სადაც იგი ხილულად ეხმარება ქართველთა ლაშქარს. ეს ფაქტი წმინდა გიორგის ეროვნული იდენტობისა და მფარველობის სიმბოლოდ აქცევს.

გარდა ფოლკლორისა, ნაშრომში ყურადღება ეთმობა ტბელ აბუსერიძის თხზულებას „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“. ამ ნაწარმოების მიხედვით ხაზი ესმება რელიგიურ-ფოლკლორულ კავშირებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წმინდა გიორგის სახე ქართულ ზეპირსიტყვიერებაში გასცდა რელიგიურ ჩარჩოებს. იგი გარდაიქმნა მებრძოლ ხატად, რომელშიც ეროვნული სულისკვეთება, ისტორიული რეალობა და მითოლოგიური წარსული ერთმანეთს ერწყმის.

ბარბარე ლოლაძე

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი

ხელმძღვანელი – პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი,
თსუ-ს მოწვეული ლექტორი პოლიტიკის მეცნიერების
მიმართულებაზე ***ნინო მაისურაძე***

მხატვარ დამიანეს შემოქმედებითი ხელწერა უბისის წმინდა გიორგის ტაძრის მოხატულობაში

უბისის წმინდა გიორგის ტაძარი ქართული ხელოვნების ისტორიაში მნიშვნელოვანი ფენომენია. ჩემი მოხსენების მთავარი ინტერესი სწორედ მხატვარი დამიანეა, ოსტატი, რომელმაც შუა საუკუნეების შეზღუდულ კანონებს ინდივიდუალური ხელწერა შესძინა. მისი შემოქმედება

გამოირჩევა უნიკალურობით, რბილი გადასვლებითა და სხეულის დინამიკური ფორმებით. მან მიაღწია იმას, რასაც მოგვიანებით „პალეოლოგოსურ რენესანსს“ ვუწოდებთ. თუმცა, საინტერესოა, რომ ბიზანტიური გავლენის მიუხედავად, ის მაინც ინარჩუნებს ქართულ მონუმენტურ ხასიათს. დამიანეს მიერ დახატული წმინდანები ერთდროულად ჰაეროვანი და მედიდურნი არიან. განსაკუთრებული დაკვირვების საგანია სამეფო სამოსი. დამიანე გასაოცარი, თითქმის იუველირული სიზუსტით გადმოსცემს ორნამენტებს, ქსოვილის ფაქტურასა და ძვირფასი თვლების ბრწყინვალებას. ფერების შერჩევისას ის იყენებს გამას, რომელიც ხაზს უსვამს პერსონაჟთა იერარქიულ დიდებულებას. ეს დეტალები მოწმობს, რომ დამიანე არა მხოლოდ თეოლოგიაში, არამედ თავისი დროის საერო ესთეტიკაშიც ბრწყინვალედ ერკვეოდა. საბოლოოდ, უბისა არის გარდამავალი ხანის საუკეთესო ნიმუში, სადაც ერთმანეთს ტრადიციული საეკლესიო წესები და ახალი,საუცხოო ხედვა ეჯახება. ჩემი მიზანია ვაჩვენო, რომ დამიანეს ინდივიდუალიზმი არის ის ღერძი, რომელზეც დგას XIV საუკუნის ქართული ფერწერის თვითმყოფადობა.

ნოდარ იაშვილი

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი

ხელმძღვანელი – ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი ***ალექსანდრე ბოშიშვილი***

ხახულის კარედი ხატი
(შუა საუკუნეების ქართული კულტურის ძეგლის ისტორია შექმნიდან დღემდე)

ხახულის ღვთისმშობლის კარედი (ტრიპტიქი) ქართული შუა საუკუნეების ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიმუშია, რომელიც გამორჩეულია თავისი ისტორიული, რელიგიური და კულტურული მნიშვნელობით. კარედის შექმნა დაკავშირებულია ხახულის მონასტრის სახელთან, რომელიც ისტორიულ ტაოში, დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ერზრუმის პროვინციაში მდებარეობს. ისტორიული წყაროების მიხედვით, ხახულის მონასტერი ტაოს მეფე დავით III კურაპალატმა X საუკუნის მეორე ნახევარში დააარსა. აქ არსებულ საეკლესიო საგანძურში სწორედ ხახულის ღვთისმშობლის ხატი იკავებდა საპატიო ადგილს, რომელიც დავით IV აღმაშენებელმა (1089-1125 წწ.)

ხახულის მონასტრიდან გელათის მონასტერში გადააბრძანა. გელათში ხატი ხელახლა მოჭედეს და ოქროს, ვერცხლის, ტიხრული მინანქრისა და პატიოსანი თვლების დეტალები დაუმატეს. კარედის ორივე კარის ბოლოში განთავსებულ ასომთავრულ წარწერებში მოხსენიებულნი არიან მეფე დავით აღმაშენებელი და მისი ძე დემეტრე I. ხახულის ღვთისმშობელი, როგორც მთავარი სიწმინდე, მოხსენიებულია დასავლეთ საქართველოს მეფეთა სიგელებში.

ხახულის კარედთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან 1650 წელს იმერეთში მყოფი რუსეთის ელჩები ტოლოჩანოვი და იევლევი. მათი აღწერის მიხედვით, ხატი ძვირფასი სამკაულებით მდიდრულად იყო შემკული, რის გამოც ელჩები მას „გასაოცარად“ მოიხსენიებდნენ. XIX საუკუნეში ბევრი კოლექციონერი დაინტერესდა ქართული ტიხრული მინანქრისა და ჭედური ხელოვნების მნიშვნელოვანი ნიმუშებით, მათ შორის, ბუნებრივია, ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ხახულის ღვთისმშობლის კარედი. 1859 წელს გელათის მონასტრის გაძარცვის დროს მოიტაცეს ღვთისმშობლის ვედრების მინანქრის ხატი. საინტერესოა, რომ მონასტრის გაძარცვამდე ქუთაისის გუბერნატორის, ვასილ ლევაშოვის დაკვეთით ხახულის კარედის ესკიზი შეუქმნია არქიტექტორ ვასილევს. სწორედ ამ ესკიზზე დაყრდნობით დამზადდა ხატის მოჭედილობა, რომელიც ლევაშოვმა 1865 წელს გელათის მონასტერს შესწირა. ნიკოდიმ კონდაკოვის თანახმად ღვთისმშობლის რეალური ხატი მიხეილ ბოტკინის კერძო კოლექციაში ინახებოდა. საბოლოოდ 1923 წელს რსფსრ ხელმძღვანელი ორგანოს დადგენილებით ხატი საქართველოს დაუბრუნდა.

აღსანიშნავია, რომ გარდა ღვთისმშობლის ხატისა, კარედი შემკულია ტიხრული მინანქრის 115 ნიმუშითა და ძვირფასი თვლებით. მათ შორის განსაკუთრებულია კარედის ჩრდილოეთ ნაწილზე განთავსებული მინანქარი, რომელზეც გამოსახულნი არიან ბიზანტიის იმპერატორი მიხეილ VII დუკა და მისი ქართველი მეუღლე, ბაგრატ IV-ის ქალიშვილი მართა-მარიამი.

გამოცემაზე მუშაობდა

ლალი კურდღელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი, 2026

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6283
https://www.tsu.ge/ka/publishing-house

უნივერსიტეტის
გამომცემლობა